899.962-1
მ-603
-1650-
მეფარიშვილი თ.ი.
გრიგოლ ხობაქიძის
ესეები.
-1650-

899.962-1
მ-603

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა იმბურგის ასული მეფარიშვილი

გრიგოლ რობაქიძის ესეები

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ მიშველაძე

ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო მინაშვილი

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით თევზაძე

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზეინაბ სარია

წამყვანი ორგანიზაცია — სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის „27“ XI „13“ საათზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10.01.01. C №2 სხდომაზე.

მისამართი: 380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1998 წლის 23.X.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, პროფესორი ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ნ. ბარათაშვილი წერდა: „ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“. „ჟამ-ვითარებამ“ გარდახვეწა საქართველოდან მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გრიგოლ რობაქიძე. დიდი ხნის მანძილზე ამ შემოქმედის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული. ერიდებოდნენ იმ კაცის სახელის ხსენებასაც კი, ვინც ჩვენი საუკუნის ათიან-ოციან წლებში ქართული სიტყვიერი კულტურის ლამის პირველ სიმად მოიხსენიებოდა. ის იყო ალამდარი მწერლობის თითქმის ყველა ჟანრში: დრამატურგიაში, ლექსისა და პროზის ხელოვნებაში, საორატორო-სამჭევრმეტყველო საქმეში. მის იმდროინდელ ღვაწლს თამამად შეიძლება ფუძემდებლური ვუწოდოთ. ეს მრავალმხრივი მოღვაწე თამამად დგას მწერალთა იმ ჯგუფში, რომელსაც ამშვენებენ მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვ. დღეს, როდესაც საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა შორს აღარ არის, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა ისევ უბრუნდება მშობელ ერს. ამ მემკვიდრეობაში დიდ წილს იდებენ ემიგრანტი მწერლები და მკვლევარები: ვ. ნოზაძე, მ. წერეთელი, გრ. რობაქიძე აკ. და თ. პაპავები, სხვანი და სხვანი.

გრ. რობაქიძის დაბრუნება გულისხმობს მისთვის დამსახურებული ადგილის მიჩენას ლიტერატურის ისტორიაში. ამ მხრივ მისი შემოქმედების ყოველი ასპექტით კვლევა აქტუალურია, რამდენადაც 1910-20-იანი წლებისა და მომდევნო ხანების ლიტერატურულ პროცესებს სწორად ვერ წარმოვიდგენთ, თუ იმ პროცესებში გრ. რობაქიძის ღვაწლი და როლი არ იქნა განსაზღვრული.

გრ. რობაქიძის მრავალმხრივ შემოქმედებაში ერთ-ერთი საჩინო ადგილი სწორედ ესეს ეკუთვნის. მისი ნაწერები იმთავითვე ყურადღებას იპყრობდა წინა პლანზე ესეისტური ნაკადის წამოწევით,